



რეკონსტრუქციის და ახალი ინფრასტრუქტურის შენიშვნის სტრატეგია საქართველოსთვის

აპრილი 2019

საქართველოს რეფორმების ასოციაცია
Georgia's Reforms Associates (GRASS)

ავტორები: შალვა გაფრინდაშვილი
დავით ქუტიძე
თეონა აბსანძე

მიმდინარე წლის 9 იანვარს, საქართველოს პროკურატურის მიერ გავრცელებულმა [განცხადებამ](#) „თიბისი ბანკის“ ერთ-ერთი ტრანზაქციის გამოძიებაზე (გამოძიება 2018 წლის 2 აგვისტოს დაიწყო), საზოგადოებისთვის ცნობილი გახადა პროცესი, რომლის მასშტაბიც ბევრად დიდია, ვიდრე კონკრეტული „სამართლებრივი დავა“. პროკურატურის ინფორმაციით, საქმე ეხება 10 წელზე მეტი ხნის წინანდელ, სავარაუდო ფულის გათეთრების ფაქტს¹. აღნიშნული გამოძიების მთავარი ფიგურანტები „თიბისი ბანკის“ დამფუძნებლები, მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე არიან.

„თიბისი ბანკი“ და მისი დამფუძნებლები ბრალდებას [უარყოფენ](#). ბანკის განმარტებით, აღნიშნული ტრანზაქცია არაერთხელ შეამოწმეს შესაბამისმა სტრუქტურებმა, როგორც მოქმედი, ისე წინა ხელისუფლების დროს. ამავდროულად, 2014 და 2016 წლებში, ლონდონის საფონდო ბირჟაზე „თიბისი ბანკის“ აქციების განთავსებასთან დაკავშირებით, ტრანზაქციები დეტალურად იქნა შემოწმებული და დადებითად შეფასებული, მათ შორის ინგლისის რეგულატორის მიერ. **„თიბისი ბანკის“ დამფუძნებელი მამუკა ხაზარაძე ღიად საუბრობს აღნიშნული საქმის პოლიტიკურ მოტივებზე. ის აცხადებს, რომ მის წინააღმდეგ ორგანიზებული კამპანია მიმდინარეობს და სახელმწიფო მანქანა უტევს.**

მიმდინარე წლის 13 თებერვალს მიღებული [გადაწყვეტილებით](#) (რომელიც ზემოაღნიშნული სადავო ტრანზაქციის შესწავლის შედეგი იყო), ეროვნულმა ბანკმა „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოდან მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის გაწვევა მოითხოვა, ხოლო „თიბისი“ 1 მლნ ლარით დააჯარიმა. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ აღნიშნული ტრანზაქციის შესახებ ეროვნულ ბანკსაც ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა მიმართა.

ეროვნული ბანკის მიერ ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციით, თხოვნა ხუთ წელზე უფრო ხანდაზმული ტრანზაქციის შესწავლის შესახებ, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მხრიდან ერთადერთია და სხვა ასეთი ფაქტი არ ყოფილა. როგორც მარეგულირებლის განცხადებებიდან ირკვევა, სანქცია გამოიწვია „თიბისი“-ში ინტერესთა კონფლიქტის რისკებმა და ინტერესთა

¹ პროკურატურა მიიჩნევს, რომ 2008 წლის აპრილში და მაისში, შპს „სამგორი თრეიდმა“ და შპს „სამგორი M“-მა, „თიბისი ბანკისგან“, სათანადო უზრუნველყოფის გარეშე, დაჩქარებული წესით მიიღეს 17 მილიონ აშშ დოლარამდე სესხი. კომპანიების ანგარიშებზე სესხის თანხის განთავსებისთანავე, „თიბისი ბანკის“ დამფუძნებელმა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, მამუკა ხაზარაძემ, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ბადრი ჯაფარიძემ, ამავე კომპანიებიდან, როგორც ფიზიკურმა პირებმა, ისე სხეს ზუსტად იმ ოდენობის თანხა, რაც „თიბი სი“-მ საბრუნავი საშუალებების შევსების მიზნობრივობით ასესხა დასახელებულ კომპანიებს. 2008 წლის ბოლოს, „თიბისი ბანკმა“ აღნიშნული სესხები, საბანკო რეგულაციებით დადგენილ ვადაზე ადრე, დაუსაბუთებლად ჩამოწერა და გარე საბალანსო ანგარიშზე გადაიტანა, ხოლო 2012 წელს საერთოდ გაათავისუფლა ეს კომპანიები ბანკის წინაშე არსებული სასესხო ვალდებულებისგან, როდესაც დათანხმდა ამ ვალდებულებების ოფშორულ კომპანიაზე გადატანას

კონფლიქტის მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებმა, რომლებიც 2007-2008 წლების ტრანზაქციებს უკავშირდება. მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული ბანკი მხოლოდ ინტერესთა კონფლიქტის შესახებ საუბრობს. თუმცა, პროკურატურაში გამოძიება გაცილებით მძიმე, ფულის გათეთრების ფაქტზეა დაწყებული. **ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ თუ ეროვნული ბანკი კონკრეტულ ტრანზაქციაში ფულის გათეთრების ნიშნებს დაინახავდა, მას შესაბამისი რეაგირება უნდა ჰქონოდა და მხოლოდ ინტერესთა კონფლიქტზე რეაგირებით არ უნდა შემოფარგლულიყო.** თუმცა, მსგავსი რამ არ მომხდარა. ბუნებრივია, რომ კითხვის ნიშნები ჩნდება იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებზე დაყრდნობითაც, პროკურატურამ აღნიშნულ საქმეში ფულის გათეთრების ნიშნები „დაინახა“. მამუკა ხაზარაძის განცხადებითაც, მისთვის გაურკვეველია, თუ რატომ ედავება ერთი სახელმწიფო სტრუქტურა მხოლოდ ინტერესთა კონფლიქტზე, მეორე კი - ფულის გათეთრებაზე.

ეროვნული ბანკის გადაწყვეტილების შემდეგ, „თიბისი“-მ განაცხადა, რომ საკუთარ უფლებებს სასამართლოს გზით დაიცავდა და არასამართლიან გადაწყვეტილებას გაასაჩივრებდა. თუმცა, რამდენიმე დღეში მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოში თანამდებობები დატოვეს. ამასთან, „თიბისი“-მ განაცხადა, რომ ბანკი დავას წყვეტს და გადაიხდის დაკისრებულ ჯარიმას 1 მლნ ლარის ოდენობით. ამდენად, ეროვნული ბანკის დავა „თიბისი“-სთან ამით ამოიწურა, თუმცა იმავე ფაქტზე პროკურატურა გამოძიებას აგრძელებს. მამუკა ხაზარაძის [განცხადებით](#), სამეთვალყურეო საბჭოს დატოვების გადაწყვეტილება მან ბანკის ინტერესებიდან გამომდინარე მიიღო, რათა „თიბისი“-ს ფინანსურ სტაბილურობას საფრთხე არ შექმნოდა - პროკურატურაში დაწყებული გამოძიების გასაჯაროებისა და საქმის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟს გამო, ბანკის აქციონერებს 200 მილიონიანი ზარალი მიადგათ. ხაზარაძის თქმით, ის თავისივე შექმნილი ბანკიდან „გააგდეს“, რადგან წასვლის გარდა, სხვა გზა აღარ დაუტოვეს. „ბანკის თემა ამოწურულია, მაგრამ ამოწურული არაა პრობლემა ჩვენთან, როგორც ბანკის დამფუძნებლებთან. ეს თემა ასე ვერ დამთავრდება. მე არაერთხელ მითქვამს, მე ჩემს ხელთ არსებულ ყველა ადგილობრივ და საერთაშორისო სამართლებრივ ფორმას გამოვიყენებ“ - [აცხადებს](#) ხაზარაძე.

სახელისუფლებო გუნდის გარდა (მთავრობის წევრები და საპარლამენტო უმრავლესობა საქმის პოლიტიკურ კონტექსტს უარყოფენ), ქვეყანაში მოქმედი ყველა მეტ-ნაკლებად ანგარიშგასაწევი პარტია, ანალიტიკოსები თუ არასამთავრობო ორგანიზაციები „თიბისი ბანკის“ წინააღმდეგ დაწყებულ საქმეში ცალსახა პოლიტიკურ მოტივებს ხედავენ. **არსებობს ეჭვი, რომ ეს პროცესი უშუალოდ მამუკა ხაზარაძის პერსონის წინააღმდეგ არის მიმართული და მმართველი პარტიის თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის დაკვეთით მიმდინარეობს.**

„თიბისი ბანკის“ საქმის მნიშვნელობაზე საუბრობენ საქართველოს დასავლელი პარტნიორებიც. საფრანგეთის ელჩის, პასკალ მენიეს განცხადებით, „ბოლო თვეების განმავლობაში, სამართლიანობასთან დაკავშირებით, საქართველოდან უარყოფითი სიგნალები მოდის... „თიბისი ბანკის“ ირგვლივ განვითარებული მოვლენები უცნაურია... შესაძლოა, რაიმე არასწორი მომხდარიყო 10 წელზე მეტი ხნის წინ, თუმცა ჩვენთვის გაუგებარია, რატომ მოხდა ამ საკითხით

დაინტერესება ახლა, ამდენი ხნის შემდეგ და არა – მანამდე“. პროკურატურას გამჭვირვალე და სამართლიანი გამოძიებისკენ მოუწოდებს საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატა და აცხადებს, რომ სხვა შემთხვევაში, მიმდინარე დავა გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს საქართველოს ეკონომიკას, რეპუტაციასა და სამომავლო პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. საქართველოში აშშ-ის ელჩის მოადგილის, ელიზაბეთ რუდის [თქმით](#), საქართველოს საინვესტიციო კლიმატი იმაზე დადმოკიდებული, თუ როგორ მოხდება და რა შედეგები ექნება ამ საქმის გამოძიებას. ამასვე აღნიშნავს გაერო-ს კოორდინატორი ლუიზა ვინტონი, რომლის [განცხადებითაც](#) „თიბისი ბანკის“ საქმე იქნება ტესტი საქართველოს სასამართლო სისტემისა და ბიზნესგარემოსთვის.

ეჭვებს, საქმის პოლიტიკური მოტივაციის შესახებ, ამყარებს იმ მოვლენათა ერთობლიობა, რომელიც უკანასკნელი თვეების განმავლობაში „თიბისი“-ს შესახებ დაწყებული გამოძიების შემდეგ გახდა ცნობილი. პირველ რიგში, საექვო გარემოებაა გამოძიების დაწყება 10 წლის წინ განხორციელებულ ტრანზაქციაზე. მით უმეტეს, რომ საქმეში არ არსებობს მომჩივანი, არაფერია ცნობილი დაზარალებულთა შესახებ და ტრანზაქციის შედეგად არც სახელმწიფო ბიუჯეტი დაზარალებულა. როგორც ამ დროისთვის არის ცნობილი, 2018 წლის 2 აგვისტოს პროკურატურამ გამოძიება სსიპ „ფინანსური მონიტორინგის“ მიმართვის საფუძველზე დაიწყო, თუმცა, ბუნდოვანია, რა მიზეზით დაინტერესდა თავად ფინანსური მონიტორინგის სამსახური 10 წლის წინანდელი საქმით. რჩება შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული ძველი ოპერაცია მიზანმიმართულად იქნა მოძიებული.

ტრანზაქციის საქმეზე გამოძიების დაწყება დროში თითქმის ემთხვევა საქართველოს ყოფილი პრემიერის, გიორგი კვირიკაშვილის თანამდებობიდან გადადგომას (2018 წლის 13 ივნისი). გიორგი კვირიკაშვილსა და მამუკა ხაზარაძეს შორის მჭიდრო კავშირის შესახებ ინფორმაციას ტელეკომპანია „რუსთავი 2“ ავრცელებს. „რუსთავი 2“-ის [ცნობით](#) (დაუდასტურებელი ინფორმაცია), კვირიკაშვილთან საუბარში (რომელიც ფარულად იქნა ჩაწერილი და შემდგომ ის ბიძინა ივანიშვილმა მოისმინა) მამუკა ხაზარაძემ ივანიშვილი ოლიგარქად მოიხსენია და თქვა, რომ ქვეყანას არა ოლიგარქები, არამედ ბიზნესი უნდა მართავდეს. გარდა ამისა, „რუსთავი 2“-ის კონფიდენციალური წყაროს ცნობით „ქართული ოცნებიდან“, მამუკა ხაზარაძე ყველა რესურსით ეხმარებოდა ყოფილ პრემიერ გიორგი კვირიკაშვილს, რათა ის ივანიშვილისგან დამოუკიდებელი მოთამაშე გამხდარიყო. იგივე წყაროს ინფორმაციით, საიდუმლო შეთქმულების განცდა ივანიშვილს ანაკლიის პროექტმაც გაუძლიერა, რადგან პრემიერად მუშაობის დროს კვირიკაშვილმა ქვეყნის მთავარი პროექტი სწორედ ხაზარაძეს ჩააბარა².

როგორც აღვნიშნეთ, ეს ცნობები მხოლოდ ერთ კონფიდენციალურ წყაროს ეყრდნობა და მის სანდოობაზე დადასტურებულად საუბარი რთულია. თავად მამუკა ხაზარაძე მსგავს კავშირებს

² მამუკა ხაზარაძე „თიბისი ჰოლდინგის“ დამფუძნებელია. თავის მხრივ, „თიბისი ჰოლდინგი“ ანაკლიის პორტის მშენებელი კონსორციუმის დამფუძნებელი, ძირითადი პარტნიორი და პროექტის დეველოპერია

უარყოფს და ამბობს, რომ მისთვის პოლიტიკა არასდროს ყოფილა საინტერესო. თუმცა, „თიბისი“-ს დამფუძნებლის თქმით, თუ ივანიშვილს მის მიმართ რაიმე პირადი ინტერესი აქვს, ეს შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ მას, როგორც ანაკლიის პროექტის ერთ-ერთ მთავარ ფიგურანტს და ზოგადად გავლენიან პიროვნებას, ივანიშვილი პოტენციურ კონკურენტად განიხილავს. ამ კონტექსტში აღსანიშნავია ივანიშვილის [განცხადებები](#), რომ „თიბისი“-მ „მთელი ქვეყანა გადაჭამა“ და ხალხი გააღარიბა, ხოლო უშუალოდ მამუკა ხაზარაძემ მის მიმართ უმადურობა [გამოიჩინა](#).

„თიბისი ბანკის“ საქმის პოლიტიკური სარჩულის კიდევ ერთ დასტურად პოლიტიკურ ოპოზიციას საქართველოს ეროვნული ბანკის ქმედებები მიაჩნია. ოპოზიციის მოსაზრებით, ეროვნული ბანკის 13 თებერვლის გადაწყვეტილება ხაზარაძისა და ჯაფარიძის სამეთვალყურეო საბჭოდან გაწვევის თაობაზე არაადეკვატურად მკაცრი იყო. ეროვნული ბანკის ამ გადაწყვეტილებას ნაჩქარევი [უწყოდა](#) არასამთავრობო სექტორმაც, მათი მოსაზრებით, მსგავსი ქმედებები ბევრ ეჭვს აჩენს და ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობას საფრთხეს უქმნის. თავად მამუკა ხაზარაძე კი [აცხადებს](#), რომ ეროვნული ბანკი თავის გადაწყვეტილებებში დამოუკიდებელი არ არის და პოლიტიკოსებს ემორჩილება, რის შესახებაც მას უშუალოდ ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ მიანიშნა. აქვე აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკის მიმართ გაჩენილ კითხვებთან დაკავშირებით, მისი პრეზიდენტი პარლამენტში (საპარლამენტო უმცირესობის მოთხოვნის საფუძველზე) დაიბარეს. თუმცა, საპარლამენტო უმრავლესობის ძალისხმევით, აღნიშნული მოსმენა [ჩაიშალა](#).

„თიბისი ბანკის“ და მამუკა ხაზარაძის გარშემო განვითარებულ მოვლენებში დამატებით კითხვებს აჩენს და დიდ შეშფოთებას იწვევს მუქარის შემცველი [წერილი](#) (ეს უკანასკნელი იწყება შემდეგი სიტყვებით: „დადასტურებულად ვიცით, რომ გვებრძვით და აქ საქმე არ ეხება მხოლოდ ფინანსებს“), რომელიც 6 მარტს გასაჯაროვდა. ხაზარაძის თქმით, აღნიშნული წერილი უშუალოდ შინაგან საქმეთა მინისტრის კაბინეტში, გიორგი გახარიაგან მიიღო შუამავალმა პირმა (რომლის ვინაობასაც არ ასახელებს³), რომელმაც ის ხაზარაძეს 2018 წლის ნოემბერში, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურამდე მიუტანა. წერილში ხაზარაძის მიმართ წამოყენებულია კონკრეტული პირობები, რომელთა არ შესრულების შემთხვევაშიც, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მამუკა ხაზარაძის ავტორიტეტის შელახვის მუქარა იკითხება. წერილის ორი მოთხოვნა ტელევიზიების - TV „პირველისა“ და „არტარეას“ სარედაქციო პოლიტიკის მთავრობის სასარგებლოდ შეცვლას ეხება. გარდა ამისა, მოთხოვნის თანახმად, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურამდე, სადაც „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ მხარდაჭერილი კანდიდატები უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, ხაზარაძეს უნდა გაეკეთებინა საჯარო მიმართვა „ნაციონალური მოძრაობის“⁴ საწინააღმდეგოდ. მას უნდა ეთქვა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ რევანშისტული ძალაა, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნისას ბიზნესს ატერორებდა და მისი დაბრუნება დაუშვებელია. მამუკა ხაზარაძის თქმით, წამოყენებული პირობებიდან მან მხოლოდ ეს

³ „რუსთავი 2“-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, შუამავალი ბადრი ჯაფარიძე იყო, თუმცა ამას მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე არ ადასტურებენ

⁴ ქვეყნის მმართველი პარტია 2003-2012 წლებში

უკანასკნელი შეასრულა. მსგავსი შინაარსის [განცხადება](#) გასული წლის 2 ნოემბერს მართლაც გავრცელდა. მიუხედავად ამისა, როგორც ხაზარაძე ამბობს, სავარაუდოდ, პირობის წამომყენებელს არ მოეწონა მისი განცხადების კონკრეტული პასაჟი, სადაც ის სასამართლო სისტემაში ამჟამად არსებულ პრობლემებზე საუბრობს⁵ და მოთხოვნა შესრულებულად არ ჩაითვალა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მიმართ წაყენებული მსგავსი სკანდალური ბრალდების მიუხედავად, პროკურატურამ, რომლის ქმედებებიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, მხოლოდ მამუკა ხაზარაძე გამოკითხა და დაასკვნა, რომ მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია საქმის გასაგრძელებლად არასაკმარისია. პროკურატურას არ გამოუკითხავს არც მამუკა ხაზარაძის მიერ დასახელებული ის პირები, რომლებსაც მან ეს წერილი გააცნო და როგორც მოსალოდნელი იყო, არც უშუალოდ მინისტრი გახარია, რომელიც საჯარო გამოსვლებში მსგავს ფაქტს უარყოფს. „მე მამუკა ხაზარაძისთვის წერილი არ მიმიწერია და არც გამიგზავნია რაიმე“ - აცხადებს გახარია. მამუკა ხაზარაძის ინფორმაციით, წერილის დედანი ლონდონში, შესაბამის ექსპერტიზაზეა გაგზავნილი და შედეგებს საზოგადოება უახლოეს მომავალში გაიგებს. ამასთან, ხაზარაძის განცხადებით, თუ ის ცრუობს და შინაგან საქმეთა მინისტრს ცილს სწამებს, მაშინ ლოგიკური იქნება, რომ ამ უკანასკნელმა საკუთარი მუნდირის ღირსების დასაცავად სასამართლოს მიმართოს.

საექვო გარემოებებს მამუკა ხაზარაძის მიმართ პოლიტიკურად მოტივირებულ შეტევაზე, ემატება სოციალურ ქსელებში მისი პერსონის მიმართ დაწყებული ნეგატიური კამპანია (რომელიც ძალიან ჰგავს გასულ წელს, წინასაარჩევნო პერიოდში ოპოზიციონერი კანდიდატების წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას). გარდა ამისა, „თიბისი“-ს დამფუძნებელი საუბრობს მასშტაბურ კიბერ-შეტევაზეც, რომელიც პროკურატურაში გამოძიების დაწყებიდან მალევე, „თიბისი ბანკის“ სისტემაზე განხორციელდა. ხაზარაძის თქმით, ბანკის ტექნიკურმა ჯგუფმა შეტევა გაანეიტრალა და მიაკვლია კონკრეტულ მისამართს, საიდანაც თავდასხმა მოხდა (რუსთაველის ქუჩის #12-ში არსებული შენობა, სადაც, სავარაუდოდ, ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებული პირების, კოკა ყანდიაშვილისა და შალვა რამიშვილის ოფისები იყო განთავსებული). ტექნიკური ჯგუფის მიერ მოპოვებული ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუყოვნებლივ მიაწოდეს, თუმცა, რვა თვის მანძილზე, უწყებამ „ვერაფერი გაარკვია“.

ანაკლიის პორტის პროექტის გაჩერების საფრთხე

მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ მიმდინარე პროცესების უფრო მასშტაბურ ხასიათს წარმოაჩენს ის ფაქტი, რომ ის ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებელი [კონსორციუმის](#) დამფუძნებელი და ძირითადი პარტნიორია. ამ პორტს საქართველოსთვის უდიდესი

⁵ სასამართლო სისტემაში არსებული სისტემური, ხელისუფლების მორჩილი [კლანის](#) არსებობა სამოქალაქო საზოგადოების ღრმა შეშფოთების საგანია

სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს⁶. მიმდინარე წლის 14 თებერვალს ჟურნალ „ეკონომისტი“ გამოქვეყნებულ [სტატიაში](#) ანაკლიის პორტი განხილულია, როგორც საქართველოს დამაკავშირებელი ხიდი ევროპასთან. მეტიც, „ეკონომისტი“ პორტს ევროპისთვის იმ მიზნიდევლ სტრატეგიულ ობიექტად განიხილავს, რამაც შესაძლოა საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებას შეუწყოს ხელი. ამასთან, საქართველოს [კონსტიტუციის](#) მე-7 მუხლში არსებობს ჩანაწერი ანაკლიის, როგორც განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის შესახებ, რაც მის მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

საზოგადოებაში არსებობს ეჭვი, რომ მთელი ამ პროცესის მთავარი სამიზნე ანაკლიის პორტია. მით უმეტეს, რომ 10 წლის წინანდელი საქმის მოკვლევით საგამომიებო უწყებები მაშინ დაინტერესდნენ, როცა ანაკლიის პორტის პროექტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაზა უნდა დასრულდეს. ერთი ვერსიის თანახმად, პორტის პროექტის ხელში ჩაგდება თავად ბიძინა ივანიშვილს სურს, ხოლო მეორე ვერსიის მიხედვით, პორტის მშენებლობის სრულად გაჩერებაა განზრახული, რაც რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარეობს. თავად მამუკა ხაზარაძე აცხადებს, რომ ანაკლიის პორტის პროექტის ჩავარდნით როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიც არიან დაინტერესებულნი. ამასთან, საქართველოს მთავრობაში არიან ადამიანები, რომლებსაც ანაკლიის პორტის აშენების იდეა მაინცდამაინც არ ხიბლავთ და ფოთის პორტის გაფართოებას ემხრობოდნენ.

რუსეთის ინტერესი, რომ საქართველოში პორტი არ აშენდეს, „გასაგებია“. ერთი მხრივ, მას არ სურს შავ ზღვაზე ახალი კონკურენტი პორტის აშენება, მეორე მხრივ კი, რუსეთისთვის ცალსახად მიუღებელია საქართველოში საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტის წარმატებით განხორციელება, რომელიც ქვეყანას ეკონომიკურად გააძლიერებს და დასავლეთთან დაახლოებს. ხოლო, იმის შესახებ, თუ ვის და რატომ შეიძლება სურდეს საქართველოს ხელისუფლებაში ანაკლიის ღრმაწყლოვანი პროექტის ჩავარდნა, მტკიცებით საუბარი ძალიან რთულია. თუმცა, მსგავსი ინტერესის არსებობის შემთხვევაში, ცალსახად საქართველოს სახელმწიფო ინტერესების ღალატთან გვაქვს საქმე.

ანაკლიის პორტის პროექტის განხორციელება რომ საფრთხეშია, ამას ბოლოდროინდელ მოვლენათა ერთობლიობაც [ადასტურებს](#). მამუკა ხაზარაძე აცხადებს, რომ პროკურატურაში დაწყებული გამოძიება (რომლის პედალირება მას შემდეგ მოხდა, რაც ევროკავშირმა პორტის მშენებლობის ერთ-ერთი ფაზის დაფინანსება გადაწყვიტა) ანაკლიის პორტის არსებულ და პოტენციურ ინვესტორებს აფრთხობს. მისი თქმით, ამ დროისთვის კონსორციუმის მიერ პროექტში

⁶ ანაკლიის პორტი საქართველოს პირველი ღრმაწყლოვანი პორტია. ის აღჭურვილი იქნება თანამედროვე ტექნიკითა და ინფრასტრუქტურით. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პირველი ფაზის მშენებლობის დასრულება და გახსნა 2020 წელს იგეგმება. მთლიანობაში, პორტი 9 ფაზად განვითარდება. ინვესტიციის საერთო რაოდენობა კი 2.5 მილიარდ დოლარს შეადგენს. პორტის სიღრმე 16 მეტრი იქნება, რაც საშუალებას მისცემს მას, მიიღოს 10,000 კონტეინერიანი (TEU) გემები

დახარჯულია 70 მლნ დოლარი, ივლისამდე კი პროექტში 600 მლნ დოლარამდე ინვესტირება უნდა მოხდეს. პროკურატურის გამოძიებისა და საქმის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟის გამო კი, შესაძლოა ამ თანხების ინვესტირება ვეღარ განხორციელდეს, რაც პორტის მშენებლობას, სულ მცირე, შეაფერხებს.

მამუკა ხაზარაძის განცხადებით, როგორი მასშტაბური სამუშაოც არ უნდა გასწიოს კონსორციუმმა ინვესტირების მოზიდვის კუთხით, სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის გარეშე პროექტი განწირულია. განსაკუთრებით კი იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პროექტი საჯარო და კერძო თანამშრომლობის (public and private partnership) ხასიათისაა. თუმცა, მისივე თქმით, სახელმწიფო ხელშეწყობის ნაცვლად ხელს უშლის: პროკურატურაში დაწყებულია უსაფუძვლო გამოძიება; ხდება მისი სახელის მიზანმიმართული დისკრედიტაცია; ბოლო დროს გააქტიურდა განცხადებები ფოთის პორტის განვითარებაზე, რითაც, „თიბისი“-ს დამფუძნებლის [აზრით](#), ანაკლიის პორტის მნიშვნელობის დაკნინებას ცდილობენ. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის წევრები ბოლოდროინდელ გამოსვლებში აღნიშნავენ, რომ „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ პროექტის ვადებს ჩამორჩება და მას მსგავსი პროექტების განხორციელების საქმეში გამოცდილება არ გააჩნია. ინფრასტრუქტურის მინისტრის, მაია ცქიტიშვილის [განცხადებით](#), კონსორციუმს პრობლემები ჯერ კიდევ 2017 წელს დაეწყო, მაგრამ ამის შესახებ მთავრობას აქამდე არაფერი უთქვამს [თუმცა, თუ პრობლემები 2017 წლიდან არსებობდა, გაუგებარია, რატომ აქამდე არ კეთდებოდა საჯარო განცხადებები მთავრობის მხრიდან]. ცქიტიშვილი ძირითად პრობლემად კონსორციუმის მიერ მშენებლობის ვადების დარღვევას მიიჩნევს. აღნიშნულს უარყოფს კონსორციუმი და აცხადებს, რომ ვალდებულებები არ დაურღვევიათ. კონსორციუმის განცხადებით, მიმდინარე წლის 1-ელ ივლისამდე გადავადდა მხოლოდ ე.წ. ფინანსური დახურვის ვადა, სამშენებლო სამუშაოები არ შეფერხებულა და პორტში პირველი გემის მიღება, როგორც დაგეგმილი იყო, 2020 წელს უნდა მოხდეს. მეტიც, მამუკა ხაზარაძე ამბობს, რომ თავად სახელმწიფომ ვერ შეასრულა დროულად გარკვეული ვალდებულებები და გააჭიანურა პორტამდე მისასვლელი ინფრასტრუქტურის მოწყობის ტენდერები. ის, რომ გარკვეულ პროექტებზე სახელმწიფო ტენდერები ჩაიშალა, ეკონომიკის მინისტრმა გიორგი ქობულიამაც ვერ [უარყო](#).

პორტის მშენებლობის ვადებთან დაკავშირებით მთავრობის მიერ ბოლო დროს გაუქვრებული განცხადებები, მამუკა ხაზარაძის აზრით, პირველი სიგნალია იმის შესახებ, თუ როგორ აპირებს მთავრობა პროექტიდან მის ჩამოცილებას. ის [ფიქრობს](#), რომ პროექტის ვალდებულებების შეუსრულებლობის ბრალდებით, პორტიდან ისევე შეეცდებიან მის „გაგდებას“, როგორც „თიბისი ბანკიდან“ „გააგდეს“.

როგორც აღვნიშნეთ, ბოლო პერიოდში მთავრობის წარმომადგენლები კონსორციუმის მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობაზე ალაპარაკდნენ. ამასთან, ანაკლიის განვითარების კონსორციუმის მიერ მოზიდული ინვესტიციების საბოლოოდ შესათანხმებლად, ინვესტორი ბანკები მთავრობისგან გარკვეულ გარანტიებს ითხოვენ. ეს გარანტიები საზოგადოებისთვის „რვა პუნქტიანი“ გემის სახელითაა ცნობილი. თუკი მთავრობა და ინვესტორი ბანკები აღნიშულ

პუნქტებზე ვერ შეთანხმდებიან, შესაძლოა პროექტი ჩიხში შევიდეს. ამ პროცესის მნიშვნელობას „ანაკლიის განვითარების კონსორციუმიც“ უსვამს ხაზს და აცხადებს, რომ სწორედ ბანკებსა და მთავრობას შორის შეთანხმებაზე დამოკიდებული პროექტის გაგრძელება.

ეკონომიკის მინისტრი გიორგი ქობულია კი აცხადებს, რომ ინვესტორებთან მოლაპარაკება რამდენიმე კვირაში დასრულდება. თუმცა, მისი [ტექნოლოგიები](#), ინვესტორების მიერ მოთხოვნილ პირობებს შორის არის ერთი ყველაზე „მძიმე“ პუნქტი - ტვირთების გარანტია.

ანაკლიის პორტის თემაზე, 21 მარტს, ინფრასტრუქტურის მინისტრ მაია ცქიტიშვილს, მისივე მოთხოვნით, პარლამენტში მოუსმინეს. ცქიტიშვილმა ისაუბრა პროექტის მიმდინარეობაზე და შეეცადა დეპუტატების დარწმუნებას, რომ „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ ამგვარი პროექტების განხორციელების გამოცდილება არ გააჩნია და თავს ვერ ართმევს ნაკისრ ვალდებულებებს. მან ასევე ვარაუდი გამოთქვა, რომ კონსორციუმი სამშენებლო ვადებში ვერ ჩაეტევა.

მინისტრმა დეპუტატებს ბანკების მოთხოვნები გააცნო და იმ რისკებზე ისაუბრა, რასაც აღნიშნული 8 პუნქტი შეიცავდა. მან სიტუაცია ისე წარმოაჩინა, თითქოს ამ პირობებზე დათანხმების შემთხვევაში სახელმწიფო დიდ რისკზე მიდის. ამ დროს, საუბარია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების (EBRD, OPIC, ADB, AIIB) 400 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტირებაზე და ისინი გარკვეულ გარანტიებს ითხოვენ სახელმწიფოსგან, რაც აბსოლუტურად ლოგიკურია. **თუ რომელიმე პუნქტი სახელმწიფოსთვის რისკის შემცველია, მაშინ ამ თემაზე მოლაპარაკებების წარმართვაა საჭირო და არა აღნიშნული პირობების იმთავითვე დემონიზება.** რჩება შთაბეჭდილება, რომ მინისტრის პარლამენტში მისვლის და ამ თემაზე საუბრის ძირითადი მიზანი ანაკლიის განვითარების კონსორციუმის დისკრედიტაცია იყო. მინისტრი ვითარებას ისე წარმოაჩენდა, თითქოს ანაკლიის პორტის მშენებლობის შეფერხების შემთხვევაში სრული პასუხისმგებლობა კონსორციუმს ეკისრება და ამაში სახელმწიფოს როლი მინიმალურია. **ანაკლიის პორტზე საუბრისას მან მთავარი აქცენტები გადაიტანა დეტალებზე (თუნდაც მნიშვნელოვანზე), რითაც ეჭვქვეშ დააყენა სტრატეგიული მიზანი - ანაკლიის პორტის პროექტის წარმატებით განხორციელება, რომელსაც ხელისუფლება 2013 წლიდან აანონსებს, თუმცა, სხვადასხვა მიზეზის გამო პროცესს ბოლო არ უჩანს.**

ცალსახაა, რომ თუკი მთავრობა და ინვესტორები კონკრეტულ პირობებზე ვერ შეთანხმდებიან, მაშინ ვერც ინვესტიციების განხორციელება მოხდება და მიმდინარე წლის ივლისისთვის (როცა ფინანსური დახურვა უნდა მოხდეს) თანხების ხელახლა მობილიზება გაჭირდება, რასაც სავარაუდოდ სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული სანქციები ან სულაც კონსორციუმთან დადებული ხელშეკრულების შეჩერება მოჰყვება.

საბოლოო ჯამში, რა პოლიტიკური მოტივიც არ უნდა იდგეს „თიბისი ბანკის“ წინააღმდეგ დაწყებული დავის უკან, ერთი რამ ფაქტია - მან უდიდესი დარტყმა მიაყენა სახელმწიფო ინსტიტუტებს. უამრავი კითხვა და ზოგადად უნდობლობა ინსტიტუტების (საპარლამენტო

უმრავლესობა, პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ეროვნული ბანკი, ფინანსური მონიტორინგის სამსახური) მიმართ კიდევ უფრო გაღრმავდა. ხოლო, თუ დავუშვებთ, რომ ექვემდებარება კონკრეტული ბიზნესმენის დევნის შესახებ რეალურია, გამოდის, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები ჩამოშლის პირასაა, ისინი ვერ ასრულებენ თავიანთ ლეგიტიმურ მიზანს და მხოლოდ ერთი ადამიანის, ბიძინა ივანიშვილის, არალეგიტიმურ ინტერესებს ემსახურებიან. დღევანდელი მოცემულობით, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ სამწუხაროდ, ანაკლიის პორტის პროექტის განხორციელებას უკეთეს შემთხვევაში შეფერხება, უარეს შემთხვევაში კი, გაჩერება ემუქრება, რაც საქართველოს ინტერესებს დააზარალებს. უპრიანია, ასეთი პროცესის ინიციატორებმა და აქტორებმა კარგად გაიაზრონ, რომ მათი ქმედებები ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესებს აზიანებს, რისთვისაც, ადრე თუ გვიან, შესაბამისი ფასის გადახდა მოუწევთ.

ვიცე-პრემიერ მაია ცქიტიშვილის განცხადებით, ბანკებს, კონსორციუმსა და მთავრობას შორის ჩვეულებრივი სამუშაო რეჟიმი მიმდინარეობს. ამ პროცესისათვის ხელი არ შეუშლია არავითარ კითხვას და ანაკლიის პროექტის განხორციელებას საფრთხე არ ემუქრება. მალე, აპრილის დასაწყისში, მთავრობას, „ანაკლიის განვითარების კონსორციუმსა“ და საერთაშორისო ბანკებს შორის მოლაპარაკებებია დაგეგმილი. ცხადია, ამ მოლაპარაკებების შედეგები ცდება ერთი, თუნდაც მასშტაბური ბიზნესის ფარგლებს და ქართული სახელმწიფოსა და მისი ხალხის მომავალს უკავშირდება.